ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ ზ-12/14218311-16 11. 08. 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, დიდი დიღომი–გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე (საკ. კოდი №01.13.01.004.125) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/1419 2221-16 01.08.2014წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

2014 წლის 06 აგვისტოს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს განცხადებით მომართა შპს „ელეფანტ"-ის დირექტორმა გიორგი ყალიჩავამ და მოითხოვა ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, დიდი დიღომი–გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე (საკ. კოდი №01.13.01.004.125) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ №ბ-12/1419 2221-16 01.08.2014წ. ბრძანებაში ცვლილების შეტანა. კერძოდ №ბ-12/1419 2221-16 ბრძანების სამოტივაციო ნაწილში მითითებული წითელი ხაზის დარღვევების ამოღება, რადგან განმცხადებლის განმარტებით წითელ ხაზთან დაკავშირებული დარღვევები გამოსწორებულია. სამსახურის სპეციალისტების მიერ საკადასტრო წითელი ხაზის ხელმეორედ გადამოწმების შედეგად დადგინდა რომ №ბ-12/1419 2221-16 ბრძანების სამოტივაციო ნაწილში აღნიშნული დარღვევა „4-4" ღერძის გარეთ „ა-დ" მონაკვეთში ბაქანი ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს" გამოსწორებულია (საქმეშია ცნობა 08.08.2014წ.).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად "ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს", ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად „ადმინისტრაციულ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით".

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან №ბ-12/1419 2221-16 ბრძანებაში ასახული დარღვევა „4-4" ღერძის გარეთ „ა-დ" მონაკვეთში ბაქანი ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს" გამოსწორებულია, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ცვლილების შეტანა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე და 63-ე მუხლების, ქ. თბილისის საკრებულოს №13-62 23.12.2011წ. გადაწყვეტილების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/1419 2221-16 01.08.2014წ. ბრძანებაში და ბრძანების სამოტივაციო ნაწილიდან ამოღებულ იქნას წინადადება „4-4" ღერძის გარეთ „ა-დ" მონაკვეთში ბაქანი ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს".

2) წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის №ბ-12/14192221-16 01.08.2014წ. ბრძანებასთან ერთად.

3) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14218311-16 06.08.2014წ. განცხადება.



უფროსის მოადგილე ვ. მშვილიშვილი

ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 3-12/14192221-16 01 08 2014 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, დიდი დიღომი–გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე (საკ. კოდი №01.13.01.004.125) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №866919 16.09.2013წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, დიდი დიღომი–გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე (საკ. კოდი №01.13.01.004.125) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-3" ფასადზე: -1.05 ნიშნულის ზემოთ „3-3" ღერძის გარეთ შემცირებულია გაზონის სიგრძე 0.60მ-ით. „2-2" ღერძზე შეცვლილია გარე კიბის საფეხურების რაოდენობა და დაბალი კედლის სიგრძე. ამავე ღერძთან „2-3" მონაკვეთში შეცვლილია ფრამუგის ნახატი. „3-3" ღერძის გარეთ პირველ სართულზე მოწყობილია ლითონის დეტალი, ხოლო 10.08 ნიშნულზე შეცვლილია ლითონის დეტალის მდებარეობა და სიგრძე. „4-4" ღერძის გარეთ შემცირებულია კედლის სიგრძე. +3.83 და +7.28 ნიშნულის ზემოთ „2-2" ღერძთან ვიტრაჟებში მოწყობილია კარი, ხოლო მის წინ დამატებულია მოაჯირი. +10.08 ნიშნულზე „1-2" მონაკვეთში მოწყობილია ლითონის დეტალი.

„ა-დ" ფასადზე: „ა-დ" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. „ა-ბ" მონაკვეთში შეცვლილია საფეხურების რაოდენობა, კიბის და ბაქნის ფორმა. „გ-დ" მონაკვეთში შეცვლილია კარის ფერი. ±0.00 ნიშნულის ქვეშ მოწყობილია ლითონის დეტალები, ხოლო ვიტრაჟის ნაცვლად მოწყობილია დეკორატიული ფილებით მოპირკეთებული კედელი ფრამუგებით. „დ-დ" ღერძთან შეცვლილია პანდუსის ფორმა და გაბარიტი. შეცვლილია ამავე ღერძთან მდებარე დაბალი კედლის ფორმა და სიგრძე. „გ-დ" მონაკვეთში მოაჯირები მოსაწყობია. პირველ სართულზე „გ-გ" ღერძთან ვიტრაჟში მოწყობილია ფანჯარა. ამავე ღერძთან +10.63 ნიშნულის ჩათვლით მოწყობილია ჟალუზი.

„3-1" ფასადზე: +8.55 ნიშნულზე ვიტრაჟი გადმოწეულია წინ, მოწყობილია კარი და ფანჯრები, რის ხარჯზეც გაზრდილია შიდა ფართი. +8.55 ნიშნულზე „4-1" მონაკვეთში კაპიტალურ მოაჯირზე ლითონის მოაჯირი მოსაწყობია.

„დ-ა" ფასადზე: შენობის ძირი შეღებილია განსხვავებულ ფერში. „დ-გ" მონაკვეთში -0.82 ნიშნულზე შეცვლილია ფრამუგის სიგრძე და ნახატი. „გ-ბ" მონაკვეთში ფრამუგები შევსებულია, რის ხარჯზეც კედლის ნაწილი შესაღებია. „დ-დ" და „ა-ა" ღერძთან მოწყობილია წყალშემკრები მილები. „ა-ა" ღერძთან მოწყობილია ლესვის ხაზი.

-3.30 ნიშნულიდან ზემოთ ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების მდებარეობა და რაოდენობა. „3-3" ღერძთან შენობის შიგნით შემცირებულია პანდუსის სიგრძე. -3.02 ნიშნულზე „გ-დ" მონაკვეთში პანდუსთან შექმნილია დონე. +7.92 ნიშნულზე „4-4" ღერძის გარეთ მოაჯირი გადაწეულია წინ.

ფასადებზე შეცვლილია ვიტრაჟების ნახატი. „1-3" და „ა-დ" ფასადებზე შენობის ძირი მოპირკეთებულია ფილებით. „1-3", „ა-დ" და „3-1" ფასადებზე ღებვის ნაცვლად მოწყობილია ბეტონის ფაქტურით. შენობის გარე კონტურზე მოწყობილია მონოლოთური კედლები, რის

ხარჯზეც შემცირებულია კოლონების რაოდენობა. შემცირებულია შიდა კიბის ბაქნის სიგანე 0.15მ-ით. ნაწილობრივ შეცვლილია შიდა კიბის საფეხურების რაოდენობა. „ა-გ" მონაკვეთში შემცირებულია გაზონის სიგანე.

„4-4" ღერძის გარეთ „ა-დ" მონაკვეთში ბაქანი ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.პ. მე-2 მ. მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 23.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის, მე-2 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ელეფანტ"-ს, გიორგი ყალიჩავას, ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, დიდი დიღომი–გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე (საკ. კოდი №01.13.01.004.125) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/14192221-16 11.07.2014წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე **ვ. მუჯირიშვილი**